ს/ს „ენერგოკავშირი"-ს

/ს/კ 200095887, იურიდიული მისამართი: თბილისი, მუხიანის I მ/რ; კორპ-13/

პირველი მოწვევის მორიგი საერთო კრების შესახებ

განცხადება

ს/ს „ენერგოკავშირი" იწვევს საზოგადოების აქციონერებს პირველი მოწვევის მორიგ საერთო კრებაზე **2025 წლის 26 მარტს, ოთხშაბათს, დღის 12 საათზე,** მისამართზე ქ. თბილისი, მუხიანის დას. I მ/რ; მე-5 კორპ.

დღის წესრიგი:

1. 2024 წლის წლიური ანგარიში;
2. 2024 წლის დირექტორის ანგარიშის წარმოდგენა და დამტკიცება;
3. 2024 წლის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის წარმოდგენა და დამტკიცება;
4. აუდიტორის არჩევა.

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება და მმართველი ორგანოს წევრების წლიური ანგარიშის პროექტის მიღება აქციონერებს შეუძლიათ ს/ს „ენერგოკავშირი"-ს ოფისში.

კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს ხელმძღვანელ ორგანოს და: ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი; 2) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

საერთო კრების სააღრიცხვო დღე არის 2025 წლის 17 მარტი, 18:00 სთ.

კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვს იმ აქციონერს, ვინც სააღრიცხვო დღის, 2025 წლის 17 მარტის 18:00 საათი მდგომარეობით აქციებს ფლობს ანგარიშის მწარმოებლის მეშვეობით. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტორთან" სააღრიცხვო დღის შემდეგ, მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული.

სს „ენერგოკავშირი"-ს

გენერალური დირექტორი /ვაჟა მესხურაძე/